ქვემო ქართლის რეგიონში 10 (ათი) საჯარო სკოლის
რეაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო
დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება

დმანისის მუნიციპალიტეტის
სოფელ ბოსლების საჯარო სკოლა

დამკვეთი:

მგფ
საქართველოს მუნიციპალური
განვითარების ფონდი

კონსულტანტი:

შ.პ.ს. "სამეცნიერო საპროექტო
ტექნოლოგიური საწარმო
ინდუსტრია"

INDUSTRIA

აღმასრულებელი დირექტორი:

მიხეილ ფაშიაშვილი

ნახაზების ჩამონათვალი

ნახაზების ჩამონათვალი

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საკადასტრო რუკა
2. გეოლოგიური დასკვნა
3. საექსპერტო დასკვნა საინჟინრო გეოლოგიაზე
4. სტრუქტურული დასკვნა
5. განმარტებითი ბარათი ---- ა-000
6. განმარტებითი ბარათი ---- ა-000/1
7. ტექნიკურ-ეკონომიკური მონაცემების ცხრილი ---- ა-000/2
8. ტოპო გეგმა
9. არსებული გენერალური გეგმა ---- ა-001
10. დემონტაჟის გეგმა ნიშნულზე ±0.00 ---- ა-002
11. დემონტაჟის გეგმა ნიშნულზე +3.26 ---- ა-003
12. დემონტაჟის გეგმა ნიშნულზე +6.41 ---- ა-004
13. ჭერის დემონტაჟის გეგმა ნიშნულზე ±0.00 ---- ა-005
14. ჭერის დემონტაჟის გეგმა ნიშნულზე +3.26 ---- ა-006
15. ჭერის დემონტაჟის გეგმა ნიშნულზე +6.41 ---- ა-007
16. სახურავის დემონტაჟის გეგმა ---- ა-008
17. სადემონტაჟო ფასადი ღერძებში ნ-ა; ა-ნ ---- ა-009
18. სადემონტაჟო ფასადი ღერძებში 1-6 ---- ა-010
19. სადემონტაჟო ფასადი ღერძებში 6-1 ---- ა-011
20. სადემონტაჟო ჭრილი ღერძებში ა-ნ; ი-ა ---- ა-012
21. სადემონტაჟო ჭრილი ღერძებში 6-1 ---- ა-013
22 სადემონტაჟო გენერალური გეგმა ---- ა-014
23. სადემონტაჟო ნაგებობები ---- ა-015
24. საპროექტო გენერალური გეგმა ---- ა-016
25. ვერტიკალური გეგმარება ---- VP-1-2
26. მონტაჟის გეგმა ნიშნულზე ±0.00 ---- ა-017
27. მონტაჟის გეგმა ნიშნულზე +3.26 ---- ა-018
28. მონტაჟის გეგმა ნიშნულზე +6.41 ---- ა-019
29. ჭერის მონტაჟის გეგმა ნიშნულზე ±0.00 ---- ა-020
30. ჭერის მონტაჟის გეგმა ნიშნულზე +3.26 ---- ა-021
31. ჭერის მონტაჟის გეგმა ნიშნულზე +6.41 ---- ა-022
32. სახურავის მონტაჟის გეგმა ---- ა-023

დამკვეთი: მგფ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

კონსულტანტი: INDUSTRIA

ნახაზების ჩამონათვალი

33. საპროექტო ფასადი ღერძებში ნ-ა; ა-ნ ---- ა-024
34. საპროექტო ფასადი ღერძებში 1-6 ---- ა-025
35. საპროექტო ფასადი ღერძებში 6-1 ---- ა-026
36. საპროექტო ჭრილი ღერძებში ა-ნ; ი-ა ---- ა-027
37. საპროექტო ჭრილი ღერძებში 6-1 ---- ა-028
38. პლანიმეტრია ნიშნულზე ±0.00 ---- ა-029
39. პლანიმეტრია ნიშნულზე +3.26 ---- ა-030
40. პლანიმეტრია ნიშნულზე +6.41 ---- ა-031
41. კარებისა და ფანჯრების სპეციფიკაცია ნიშნულზე ±0.00 ---- ა-032
42. კარებისა და ფანჯრების სპეციფიკაცია ნიშნულზე +3.26 ---- ა-033
43. კარებისა და ფანჯრების სპეციფიკაცია ნიშნულზე +6.41 ---- ა-034
44. კარებისა და ფანჯრების სპეციფიკაცია ---- ტ-001
45. ტექნოლოგიური გეგმა ნიშნულზე ±0.00 ---- ტ-002
46. ტექნოლოგიური გეგმა ნიშნულზე +3.26 ---- ტ-003
47. ტექნოლოგიური გეგმა ნიშნულზე +6.41 ---- ტ-004
48. ლიფტების სპეციფიკაცია და ნახაზები ---- ტ-005
49. ევაკუაციის გეგმა ნიშნულზე ±0.00 ---- ა-035
50. ევაკუაციის გეგმა ნიშნულზე +3.26 ---- ა-036
51. ევაკუაციის გეგმა ნიშნულზე +6.41 ---- ა-037
52. ფასადის რენდერები ---- ა-038
53. ინტერიერის ტიპიური რენდერები ---- TR-001-010
54. ტიპიური კვანძები ---- კ-001-028
55. საქვაბე ---- BA-1-11
56. კონსტრუქციული ნაწილი
57. საექსპერტო დასკვნა კონსტრუქციაზე
58. ელექტროობა
59. წყალმომარაგება; კანალიზაცია; სახანძრო
60. გათბობა; ვენტილაცია
61. გარემოზე ზემოქმედების შეფასება
62. სახანძრო უსაფრთხოების გეგმა
63. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი
64. სატენდერო სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშება
65. ტექნიკური პირობების მოსაპოვებლად საჭირო სიმძლავრეები
66. ლოკალურ-რესურსული სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშება
67. გამსხვილებული სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშება

დამკვეთი:

მგფ
საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

კონსულტანტი:

INDUSTRIA

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 82.12.41.367**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია	მომზადების თარიღი
N 882015334318 - 17/06/2015 12:02:32	**23/06/2015 17:52:39**

საკუთრების განყოფილება

მონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
დმანისი	დიდი დმანისი		
82	**12**	**41**	**367**

მისამართი: რაიონი დმანისი , სოფელი ბოსლები

ნაკვეთის საკუთრების ტიპი:საკუთრება

ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო

დაშუსტებული ფართობი: 13510.00 კვ.მ.

ნაკვეთის წინა ნომერი:**82.12.03.606;**

შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1; N2; N3; N4; N5; N6.

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 822006000255 , თარიღი 19/04/2006

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- მიმართვა N85 , დამოწმების თარიღი:10/02/2006 , დიდი დმანისის თემის გამგეობა
- ბრძანება N1/6-834 სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების შეტანის შესახებ , დამოწმების თარიღი:16/06/2015 ,სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრი
- მიმართვა N4011 , დამოწმების თარიღი:05/03/2006 , დმანისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების განყოფილება

მესაკუთრეები:
სახელმწიფო

მესაკუთრე:
სახელმწიფო

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

სარგებლობა

განცხადების
რეგისტრაცია
ნომერი
822008000636
თარიღი **10/07/2008**

მოსარგებლე: ბოსლების სავარო სკოლა;
მესაკუთრე: სახელმწიფო;
საგანი:ფართი - 13510.00 კვ.მ; შენობა N1; N2; N3; N4; N5; N6.;

უვადო უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება 07.05.08,

ბრძანება N1/6-834 სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების შეტანის შესახებ, დამოწმების თარიღი16/06/2015, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრი

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მაგვრიალური აქტების რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების სანქციად მიღებისას სამეწარმეო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე. რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი ამავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც ეწვევა პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის სანდოლობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge, ნებისმიერ გეოგრაფიულ სარეგისტრაციო სამსახურში, თვითცნობის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პარტნიორებთან;
- ამონაწერში ფიზიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეგიძლიათ გამოცხადდეთ ვებ–გვერდზე;
- კომპენსაციის მიღება შესაძლებელია თვითცნობის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტაზე: info@napr.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო გეგმა

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი:	*82 12 41 367*
განცხადების რეგისტრაციის ნომერი:	882015334318
მიწის ნაკვეთის ფართობი:	*13510* კვ.მ.
დანიშნულება:	არასასოფლო-სამეურნეო
კატეგორია	
მომზადების თარიღი:	18.06.15



გეოლოგიური დასკვნა

დამკვეთი:

კონსულტანტი:

ქვემო ქართლის რეგიონში 10 (ათი) საჯარო სკოლის რეაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება.

დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლების საჯარო სკოლა

საინჟინრო გეოლოგიური კვლევა

კონსულტანტი: შ.პ.ს „სამეცნიერო საპროექტო ტექნოლოგიური საწარმო ინდუსტრია“

დამკვეთი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

Scientific, Design-Technological Enterprise “Industria” LTD

Info@icm.ge

www.ICM.ge

Kazbegi St #24 Tbilisi | Georgia

შ.პ.ს ,,სამეცნიერო-საპროექტო ტექნოლოგიური საწარმო ინდუსტრია“

ა ნ ბ ა რ ი შ ი

დმანისის მუნიციპალიტეტის ს. ბოსლების საჯარო სკოლის (ს/კ 82.12.41.367) საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევა

აღმასრულებელი დირექტორი
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი მ. ფაშიაშვილი

შემსრულებელი ინჟინერ-გეოლოგი
გ. ჭოხონელიძე

ქ. თბილისი
2019 წ.

1. შესავალი

შ.პ.ს ,,სამეცნიერო-საპროექტო ტექნოლოგიური საწარმო ინდუსტრია‘‘-ს ხელმძღვანელობის თხოვნით ჩვენს მიერ 2019 წლის აგვისტოში გამოკვლეული იქნა დმანისის მუნიციპალიტეტის ს. ბოსლების საჯარო სკოლის (ს/კ 82.12.41.367), ნაგებობის საერთო ფართი 1701.28 მ^2. საინჟინრო გეოლოგიური პირობები, სკოლის შენობის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით.

საჯარო სკოლა აშენებულია 1974 წელს. 3 სართულიანია, საძირკველი – მონოლითური ბეტონის. შენობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით – II.

უბნის საინჟინრო გეოლოგიური შეფასების მიზნით დათვალიერებული იქნა საკვლევი უბანი და მისი მიმდებარე ტერიტორია, რამაც დაგვარწმუნა, რომ საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის შენობის მდგრადობას, არაა მოსალოდნელი.

სკოლის მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად გაყვანილი იქნა 2 შურფი, საერთო სიგრძით 3.5 მეტრი. შურფებიდან აღებული იქნა ნიმუშები გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასადგენად. გრუნტების თვისებები განსაზღვრული იქნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის, გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების მიმართულებაზე.

საველე სამუშაოების და ლაბორატორიული კვლევების მონაცემების ანალიზზე შედგენილია წინამდებარე ტექნიკური ანგარიში, რომელიც გარდა ტექსტური ნაწილისა შეიცავს გრაფიკულ მასალას გრუნტების თვისებებზე.

საინჟინრო გეოლოგიური კვლევები ჩატარებულია საქართველოში ამჟამად მოქმედი შემდეგი სამშენებლო ნორმების მოთხოვნების საფუძველზე:

1. სნ და წ 1.02.-07.87წ. ,,შენობა-ნაგებობათა საინჟინრო გეოლოგია‘‘;

2. პნ.02.01.08 - „შენობა-ნაგებობათა ფუძე-საძირკვლები“;

3. პნ 01.01.09 - „სეისმომედეგი მშენებლობა“;

4. სახსტანდარტი 25100-95 – გრუნტები, კლასიფიკაცია.

2. ზოგადი ნაწილი

დმანისის პლატო შეადგენს ზემო ხრამის რაიონის უკიდურეს სამხრეთ მხარეს. ამ პლატოს გეგმაზე სამკუთხა ფორმა აქვს, იგი ვიწროვდება ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მაშავერას დინების ჩაყოლებით. მისი ზედაპირი ჯავახეთის ძირთან 1600-1700 მეტრ სიმაღლეზეა ზღვის დონიდან, ხოლო ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ბოლოსთან სოფ. დიდი მაიდნის მიდამოებში სულ 900-950 მეტრზეა.

დმანისის პლატოც აგებულია დოლერიტული ლავებით, რომლებიც ქვედა მეოთხეულში ამოიღვარა ჯავახეთის ქედის სამხრეთ ნაწილში და მაშავერას ხეობას ჩამოჰყვა მარნეულის ვაკისაკენ. აქვე გვხვდება ტბიურ ტუფოგენური გამოსავლებიც.

დმანისის პლატო დანაწევრებულია ეროზიული კანიონების სისტემით, რომელთა სიღრმე 70-80 მეტრს აღწევს. ძირითადად მდ. მაშავერას შეერთვიან მდოინარეები, რომლებსაც ჯავახეთის ქედის ვოკლუზები ასაზრდოებენ.

ქვერაიონის ნიადაგური საბურველი გამოსახულია ტიპობრივ კარბონატული და გამოტუტვილი შავმიწებით, რომლებიც მაღალ საფეხურზე მდელოსებურ სტეპებში გადადის.

3. სპეციალური ნაწილი

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე საკვლევ მოედანზე, გეოლოგიურ ჭრილში გამოკვლეულ სიღრმემდე გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა – 1 – ნიადაგის ფენა;

2. ფენა – 2 – თიხნარი, მყარპლასტიკური კონსისტენციის;

3. ფენა – 3 – თიხა.

მოედნის პირველი ფენა 0.4-0.5 მ. სიმძლავრის ნაყარი გრუნტით არის წარმოდგენილი. მომდევნო ფენა დელუვიურ-პროლუვიური წარმოშობის 0.8-1.1 მ. სიმძლავრის თიხნარებით არის წარმოდგენილი. აღნიშნული გრუნტები არ წარმოადგენენ შენობის ფუძე-გრუნტებს და ამიტომ მათი თვისებები არ გამოკვლეულა. სკოლის შენობა დაფუძნებულია თიხებზე, ამიტომ მათი თვისებები დეტალურად იქნა გამოკვლეული.

თიხები ბუნებრივ პირობებში მშრალ მდგომარეობაშია. მათი ბუნებრივი ტენიანობა 16-17%-ის ფარგლებში იცვლება. რაც შეეხება ბუნებრივ სიმკვრივეს, იგი 1.82 გ/სმ^3 შეადგენს. განსაზღვრული იქნა თიხების ფიზიკურ-მექანიკური მაჩვენებლები. შედეგები მოცემულია ცხრ. №1-ში. ჩვენი შენობის ფუძის სიმტკიცისა და დეფორმაციის დასახასიათებლად საჭიროა ვიცოდეთ გრუნტის სიმტკიცის მაჩვენებლები: გრუნტის შიგა ხახუნის კუთხე – φ, კუთრი შეჭიდულობა – C და გრუნტის დეფორმაციის მაჩვენებელი E_0.

გრუნტის სიმტკიცის მაჩვენებლების φ და C-ს განსაზღვრა შესრულდა ლაბორატორიულ პირობებში. გრუნტს მიეცა ვერტიკალური დატვირთვები 1; 2 და 3 კგ/სმ^2. ცდები ჩატარდა ჭრის ხელსაწყოზე, პროფ. ნ. მასლოვის ჩქარი წრის მეთოდით. შედეგები მოცემულია ცხრ. №1-ში. როგორც ამ შედეგებიდან ჩანს პროფ. გ. ნიჩიპოროვიჩის კლასიფიკაციით თიხნარები მიეკუთვნებიან საშუალო სიმტკიცის გრუტებს.

რაც შეეხება დეფორმაციის მოდულის განსაზღვრას, იგი მოხდა გრუნტის გამოცდით კუმშვაზე. შედეგად მივიღეთ კომპრესიული მრუდები, რომლის საშუალებითაც განისაზღვრა დეფორმაციის მოდული:

E_0=285 კგ/სმ^2

იმისათვის, რომ განვსაზღვროთ თიხების პირობითი წინაღობა, ვსარგებლობთ სამშენებლო ნორმებით პ.ნ. 02.01.08, შენობა-ნაგებობათა ფუძეები, დანართი 3, ცხრ. №1, საიდანაც:

R_0=2.9 კგ/სმ^2

ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღვნიშნავთ, რომ გამოკვლეულ სიღრმემდე გრუნტის წყალი არ დაფიქსირებულა.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების შესახებ შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

1. სკოლის შენობის ტერიტორია გეომორფოლოგიურად წარმოადგენს სწორ ადგილს. რაიმე საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის შენობის მდგრადობას, არ არის მოსალოდნელი.
2. საინჟინრო გეოლოგიური სირთულის მიხედვით საკვლევი მოედანი სამშენებლო ნორმებით 1.02.07.87წ. დანართი 10-ის მიხედვით მიეკუთვნება პირველ (მარტივ) კატეგორიას;
3. სკოლის შენობის გეოლოგიური ჭრილი შემდეგნაირია:
    1. ფენა – 1 – ნიადაგის ფენა;
    2. ფენა – 2 – თიხნარი;
    3. ფენა – 2 – თიხა.
4. შენობა დაფუძნებულია თიხებზე. მათი სიმტკიცისა და დეფორმაციის მაჩვენებლებია:

R_0=2.9 კგ/სმ^2

E_0=285 კგ/სმ^2

5. გრუნტის წყალი გამოკვლეულ სიღრმემდე არ დაფიქსირებულა.

6. დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელი ბოსლები საქართველოს სეისმური ნორმებით პ.ნ. 01.01.09 ,,სეისმომედეგი მშენებლობა'' მიეკუთვნება 8 ბალიან სეისმურად აქტიურ ზონას. საკვლევ მოედანსაც ვაკუთვნებთ 8 ბალიან სეისმურად ინტენსიურ ზონას. იგივე ნორმებით სეისმური თვისებებით, საკვლევი გრუნტები მიეკუთვნებიან:

1. ნიადაგი – III კატეგ.
2. თიხნარი და თიხა – II კატეგ.

7. დამუშავების სიძნელის მიხედვით, სამშენებლო ნორმებით IV-2-82წ. ცხრ1-1-ის მიხედვით, საკვლევი გრუნტები მიეკუთვნებიან:

1. ნიადაგი - III ჯგ.
2. თიხნარი და თიხა – II ჯგ.

საქართველოს დამსახურებული მშენებელი,

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი /*გ. ჭოხონელიძე*/

ობიექტის დასახელება ღმანისი **სოფ. ბოსლები**

№	ბურღვის №	ბურღვის სიღრმე, მ	ბრუნტის ლაბორატორიული გამოკვლევების შედეგები																			ბრუნტის ტიპი
			ლაბ. №	პლასტიკურობა			ბუნებრივი ტენიანობა %	სიმკვრივე გ/სმ³			მრავალი ბრუნტის კოეფიციენტი	დენადობის ინდექსი	ტენიანობის ხარისხი	კუმშვადობის კოეფიციენტი სმ²/კგ	ფარდობითი ჩაჯდომადობა	წინაღობა ძვრაზე				თაბაშირის შემცველობა %	
				ზღვრული ტენიანობა %		კლასტიკურობის რიცხვი		ბუნებრივი	მშრალი ბრუნტის	ბრუნტის ნაწილაკების						ბუნებრივი		წყლით გაჯერებული			
																φ°	C მპა	φ°	C მპა		
		h		W_L	W_P	I_P	W	ρ	ρ_d	ρ_S	e	I_L	Sr	a	I_s	φ	C	φ	C	$CaSO_4 2H_2O$	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	118	19	20	21	22
1	შ. 1	2.10	36	44.0	20	24	18	1.84	1.56	2.74	0.75	-0.08	0.67		–	19	0.050	15	0.020	–	თიხა
2	შ. 1	2.60	37	46.0	20	26	19	1.87	1.58	2.74	0.73	-0.04	0.72		–	20	0.064	–	–	–	თიხა
3																					
4																					
5																					
6																					
7																					
8																					
9																					
10																					
11																					
12																					



ვერტიკალური დატვირთვა

ვერტიკალური დატვირთვა	მპა	0	0.1	0.2	0.3	0.4
ფორიანობის კოეფიციენტი	c	0.74	0.72	0.70	0.69	0.68
დაჯდომის მოდული	c_p		0.80	1.60	1.90	2.30
დეფორმაციის მოდული	E მპა		8.70	8.80	17.40	17.50
კუმშვადობის კოეფიციენტი	a		0.02	0.02	0.01	0.01

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ფუძე-საძირკვლების კათედრა



ვერტიკალური დატვირთვა

ვერტიკალური დატვირთვა	მპა	0	0.1	0.2	0.3	0.4
ფორიანობის კოეფიციენტი	c	0.73	0.72	0.71	0.70	0.69
დაჯდომის მოდული	c_p		0.40	0.80	1.20	1.50
დეფორმაციის მოდული	E მპა		17.20	17.30	17.40	17.50
კუმშვადობის კოეფიციენტი	a		0.01	0.01	0.01	0.01

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ფუძე-საძირკვლების კათედრა

ბრუნტის ძვრაზე გამოცდის შედეგები



შ. № 1 სიღრმე h =2.10 მ ტენიანობა W=18%			
ვერტიკალური დატვირთვა, მპა	ძვრის ძალა, მპა	შიგა ხახუნის კუთხე	კუთრი შეჭიდულობა, მპა
p	τ	φ°	C მპა
0.10	0.84	19°	0.050
0.20	1.18		
0.30	1.52		
0.40			

ბრუნტის ძვრაზე გამოცდის შედეგები



შ. № 1 სიღრმე h =2.60 მ ტენიანობა W=19%			
ვერტიკალური დატვირთვა, მპა	ძვრის ძალა, მპა	შიგა ხახუნის კუთხე	კუთრი შეჭიდულობა, მპა
p	τ	φ°	C მპა
0.10	1.00	20°	0.064
0.20	1.36		
0.30	1.72		
0.40			

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ფუძე-საძირკვლების კათედრა

ᲓᲛᲐᲜᲘᲡᲘ, ს. ᲑᲝᲡᲚᲔᲑᲘ

ᲨᲣᲠᲤᲘ №1

ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘ 1:50



ᲐᲘᲠᲝᲑᲘᲗᲘ ᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘ

ᲑᲔᲢᲝᲜᲘᲡ ᲙᲔᲓᲔᲚᲘ

ᲑᲔᲢᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲫᲘᲠᲙᲕᲔᲚᲘ

ᲜᲐᲧᲐᲠᲘ ᲑᲠᲨᲔᲜᲢᲘ

ᲗᲘᲮᲜᲐᲠᲘ

ᲗᲘᲮᲐ

■ - ᲜᲘᲛᲨᲘᲡ ᲐᲦᲔᲑᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ

დმანისი, ს. ბოსლები

შურფი №2

მასშტაბი 1:50



პირობითი ნიშნები

ბეტონის კედელი

ბეტონის საძირკველი

ნაყარი გრუნტი

თიხნარი

თიხა

■ - ნიმუშის აღების ადგილი

ფოტომასალა

საქართველო
სსიპ დმანისის მუნიციპალიტეტის
სოფელ ბოსლების
საჯარო სკოლა
GEORGIA
LEPL DMANISI MUNICIPALITY
VILLAGE BOSLEBI
P BL C SCHOOL

INDUSTRIA

DUSTRIA

საექსპერტო დასკვნა საინჟინრო-გეოლოგიაზე

დამკვეთი:

კონსულტანტი:

სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი“

აკრედიტაციის მოწმობა

EA BLA-ის ხელმომწერი

GAC-IB-0306

ადასტურებს, რომ

შპს "პონტიკა"-ს A ტიპის ინსპექტირების ორგანო

მისამართი: ქ. თბილისი, ჭიაურელის ქ.N22;

შეფასდა და აკმაყოფილებს ეროვნული სტანდარტის

სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013-ის მოთხოვნებს

აკრედიტებულია შემდეგ სფეროში: 1.ობიექტის ხარჯთაღრიცხვის ინსპექტირება; 2. ობიექტზე შესრულებული სამუშაოების ინსპექტირება (მათ შორის ფორმა #2-ის მიხედვით); 3. ობიექტის ან მისი ნაწილის ტექნიკური მდგომარეობის, შესრულებული სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარეაბილიტაციო სამუშაოების ინსპექტირება; 4. სამშენებლო ობიექტის პროექტის (შენობის, ნაგებობის, ხიდების, საავტომობილო გზების და სხვა სატრანსპორტო ნაგებობების) ან პროექტის ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება. მათ შორის: სამშენებლო-გეოლოგიური კვლევა-ფასკვნა; კონსტრუქციული ნაწილი; 5. სამშენებლო ობიექტის (შენობების და ნაგებობების, ხიდების, საავტომობილო გზების და სხვა სატრანსპორტო ნაგებობების) პროექტის ან პროექტის ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება. მათ შორის: - კონსტრუქციული ნაწილი; - საინჟინრო ქსელები: (ელ. მომარაგება,სუსტი დენები და მათი ტექნოლოგიური ნაწილი); საინჟინრო ქსელები: წყალმომარაგება, კანალიზაცია, წყალსადენება და მათი ტექნოლოგიური ნაწილი; - საინჟინრო ქსელები: ვენტილაცია, კონდიცირება, გათბობა და მათი ტექნოლოგიური ნაწილი; შრომის დაცვის ნაწილი; ობიექტის სამშენებლო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობა - ინსპექტირება; (იხ. დანართი – „აკრედიტაციის სფერო“)

აკრედიტაციის ცენტრის
გენერალური დირექტორი

რეგისტრაციის თარიღი

19 ივნისი 2019 წ.
ძალაშია

17 იანვარი 2023 წ.

0186 თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №42ა

დამკვეთი: სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი“
დამამზადებელი: შპს „სოლუი“. სფსა რეგისტრაციის № 06-3938

შპს „პონტიკა" ინსპექტირების ორგანო
ს/კ 402073448
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი.
მ. ჭიაურელის ქ. N22
ტელ.: +995555295558
Email: abuashvili.lala@gmail.com

GAC – IB – 0306
სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013

„დმანისის რაიონის სოფ. ბოსლების საჯარო სკოლის შენობის რეკონსტრუქციისთვის ჩატარებულ საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგები"-ს მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირების ანგარიში

№ PG 256/30.09.2019

მომსახურეობის სფერო: *სამშენებლო ობიექტის პროექტის (შენობის, ნაგებობის, საავტომობილო გზების და სხვა ხაზობრივი ნაგებობების) ან პროექტის ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება.*

ინსპექტირების დაწყების თარიღი: *18.09.2019*

ინსპექტირების დასრულების თარიღი: *24.09.2019*

დამკვეთი: *შ.პ.ს „სამეცნიერო, საპროექტო-ტექნოლოგიური საწარმო ინდუსტრია" ს/კ 204887952*

საფუძველი: *ხელშეკრულება №071/08-19; განაცხადი*

შემსრულებელი ექსპერტი და შემსრულებელის კვალიფიკაცია: გივი იაშვილი უმაღლესი განათლებით ინჟინერ გეოლოგი. გეოლოგიის აკადემიური დოქტორი. სპეციალობით მუშაობის 55 წლის სტაჟით

სპეციალისტის წინაშე დასმული ამოცანა:

გთხოვთ ჩაატაროთ „დმანისის რაიონის სოფ. ბოსლების საჯარო სკოლის შენობის რეკონსტრუქციისათვის ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგები"-ს მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება

წარმოდგენილი მასალები:

„დმანისის რაიონის სოფ. ბოსლების საჯარო სკოლის შენობის რეკონსტრუქციისათვის ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგები".

კვლევაში გამოყენებული ლიტერატურა:

- ✓ ს.ნ. და წ. 1.02.07-87 – „საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობისთვის";
- ✓ პ.ნ. 02.01-08 – „შენობა-ნაგებობების ფუძეები";
- ✓ პ.ნ. 01.01.09 – „სეისმომედეგი მშენებლობა";
- ✓ ს.ნ. და წ. IV-5-82 – „მიწის სამუშაოები";
- ✓ ს.ნ.და წ. 3.02.01-87 – „მიწის ნაგებობები, ნაგებობათა ფუძეები და საძირკვლები";
- ✓ პ.ნ. 01.05-08 – „სამშენებლო კლიმატოლოგია";
- ✓ ს.ნ. და წ. 2.03.11-85 – „სამშენებლო კონსტრუქციების კოროზიისგან დაცვა";
- ✓ სახსტანდარტი 25100-82 – „გრუნტების კლასიფიკაცია";
- ✓ PNT/IB/IP-7.1-18-02-A45 ინსპექტირების პროცედურა.

გამოკვლევა

ჩვენს მიერ 2019 წლის სექტემბერში შემოწმებული იქნა – დმანისის რაიონის სოფ. ბოსლების საჯარო სკოლის რეკონსტრუქციისთვის ჩატარებულ საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგები.

ექსპერტიზისათვის წარმოდგენილია საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგების ანგარიში, რომელიც შედგება:

1. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ანგარიშის ტექსტური ნაწილი ---------- 5გვ;

2. გრუნტების ლაბორატორიული კვლევების კრებსითი ცხრილი ---------- 1ფურც.

3. ჭრილები საძირკვლის გაშიშვლების ნახაზით ---------- 2ფურც;

4. გრუნტის კომპრესიაზე გამოცდის შედეგები ---------- 1ფურც;

5. გრუნტის ძვრაზე გამოცდის შედეგები ---------- 1ფურც;

6. უბნის ტოპო-გეგმა 1:500 ---------- 1ფურც;

7. ფოტომასალა ---------- 2ფურც;

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები ჩატარებულია 2019 წლის ივნისში ინჟინერ-გეოლოგ გ. ჭოხონელიძის მიერ. დამკვეთი: სსიპ "საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი".

საჯარო სკოლა 3 სართულიანია, აშენებულია 1974 წელს. საძირკველი - მონოლითური ბეტონის. შენობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით - II.

არსებული საჯარო სკოლის საძირკვლის მდგომარეობის დადგენის მიზნით გაყვანილი იქნა 2 შურფი, საერთო სიგრძით 3,5მ.

ლაბორატორიული შესწავლისათვის, შურფებიდან (სხვადასხვა სიღრმიდან) აღებული იქნა ნიმუშები გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასადგენად.

გრუნტების თვისებები განსაზღვრული იქნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის, გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების მიმართულებაზე.

საველე და ლაბორატორიული სამუშაოები ჩატარებულია საქართველოში ამჟამად მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების მოთხოვნათა საფუძველზე.

საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის 3 ფენა:

1. **ნიადაგის ფენა** (ფენა 1);

2. **თიხნარი, მყარპლასტიკური კონსისტენციის** (ფენა 2);

3. **თიხა** (ფენა 3)

როგორც გამოკვლევებიდან ჩანს, სკოლის შენობა დაფუძნებულია თიხნაროვან გრუნტებზე. თიხნარების თვისებები დეტალურად არის გამოკვლეული. განსაზღვრულია პრობითი წინაღობა, გრანულომეტრული შემადგენლობა, ბუნებრივი სიმკვრივე, ტენიანობა და ა.შ.

ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღნიშნულია, რომ გამოკვლეულ სიღრმემდე გრუნტის წყალი არ დაფიქსირებულა.

ანგარიშში ვრცლად არის განხილული საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და კლიმატური პირობები.

“დასკვნა და რეკომენდაციები” შედგება 7 პუნქტისგან, სადაც აღნიშნულია, რომ:

1.საკვლევი უბანი საინჟინრო-გეოლოგიური თვალსაზრისით იმყოფება დამაკმაყოფილებელ პირობებში და რაიმე საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარება, რომელიც უარყოფითად იმოქმედებს სკოლის შენობაზე, მოსალოდნელი არ არის;

2.საინჟინრო-გეოლოგიური სირთულის მიხედვით მიეკუთვნება პირველ (მარტივი) კატეგორიას (1.02.07.87წ. დანართი 10);

3.უბნის ამგებ გრუნტებში გამოყოფილია 2 ფენა:

– **ნიადაგის ფენა** (ფენა 1);

– **თიხნარი, მყარპლასტიკური კონსისტენციის** (ფენა 2);

– **თიხა** (ფენა 3);

4.არსებული საჯარო სკოლის საძირკვლების გაშიშვლებით დადგინდა, რომ შენობა დაფუძნებულია თიხებზე (ფენა 3);

5.აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი გამოკვლეულ სიღრმემდე არ დაფიქსირებულა.;

6.მოცემულია, უბნის სეისმურობა - 8 ბალი და კატეგორიები სეისმური თვისებების

პ.ნ. 01.01.09-ის „სეისმომედეგი მშენებლობა“ მიხედვით. / ნიადაგი - III კატეგორია, თიხნარი და თიხა - II კატეგორია;

7.მოყვანილია, დამუშავების სიძნელის მიხედვით უბანზე გავრცელებული გრუნტების ჯგუფები – ს.ნ. და წ. IV-2-82წ. ცხრ. №1-1-ის თანახმად. / ნიადაგი - III ჯგუფი, თიხნარი და თიხა - IIჯგუფი;

ინსპექტორი: **/გივი იაშვილი/**

დ ა ს კ ვ ნ ა:

ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ანგარიში აკმაყოფილებს საქართველოში ამჟამად მოქმედ ნორმატიული დოკუმენტების (სამშენებლო წესები და ნორმები) მოთხოვნებს, რის გამოც დმანისის რაიონის სოფ. ბოსლების საჯარო სკოლის შენობის რეკონსტრუქციისთვის ჩატარებულ საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგებს ეძლევა დადებითი შეფასება.

წარმოდგენილი ანაგარიში შეიძლება დაედოს საფუძვლად - დმანისის რაიონის სოფ. ბოსლების საჯარო სკოლის შენობის რეკონსტრუქციის პროექტს საინჟინრო-გეოლოგიურ ნაწილში.

ინსპექტორი: /გივი იაშვილი/

ტექნიკური მენეჯერი: /დავით ჯიბლაძე/

ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: /ლალი აბუაშვილი/

სტრუქტურული დასკვნა

დამკვეთი:

კონსულტანტი:

ქვემო ქართლის რეგიონში 10 (ათი) საჯარო სკოლის რეაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება.

დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლების საჯარო სკოლა

სტრუქტურული მდგომარეობის შეფასების ანგარიში

კონსულტანტი: შ.პ.ს „სამეცნიერო საპროექტო ტექნოლოგიური საწარმო ინდუსტრია“

დამკვეთი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

Scientific, Design-Technological Enterprise “Industria” LTD

Info@icm.ge

www.ICM.ge

Kazbegi St #24 Tbilisi | Georgia

შ.პ.ს “ სამეცნიერო, საპროექტო-ტექნოლოგიური საწარმო ინდუსტრია”

დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლების საჯარო სკოლის შენობის სტრუქტურული მდგომარეობის შეფასების ანგარიში

დამკვეთი:

მუნიციპალური განვითარების ფონდი

შემსრულებელი :

შ.პ.ს “სამეცნიერო, საპროექტო-ტექნოლოგიური საწარმო ინდუსტრია“-ს აღმასრულებელი დირექტორი

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი / მიხეილ ფაშიაშვილი /

თბილისი. 2019 წ.

შემადგენლობა

1. ფოტომასალა - დანართი №1

2. შესავალი

3. ტექნიკური დავალება

4. თავი I. გამოკვლევა

5. თავი II. ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა

შესავალი

მუნიციპალური განვითარების ფონდსა და შ.პ.ს „სამეცნიერო, საპროექტო-ტექნოლოგიური საწარმო ინდუსტრია“-ს აღმასრულებელ დირექტორ მიხეილ ფაშიაშვილს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე 2019 წლის აგვისტოს თვეში შ.პ.ს „სამეცნიერო, საპროექტო-ტექნოლოგიური საწარმო ინდუსტრია“-ს სპეციალისტთა ჯგუფის მიერ ჩატარდა საძიებო-საკვლევი სამუშაოები დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლების საჯარო სკოლის მზიდი კონსტრუქციის შემადგენელი ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის შეფასებასა და შესაბამისი ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის მომზადების მიზნით.

კვლევის შედეგები და ექსპერტიზის დასკვნა ჩამოყალიბებულია 18 გვერდზე. იგი შედგება ორი თავისაგან: I თავში წარმოდგენილია საკვლევი ობიექტის აღწერა და კვლევა, ხოლო II თავში მოცემულია ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა.

ტექნიკური დავალება

დამკვეთის მიერ შ.პ.ს „სამეცნიერო, საპროექტო-ტექნოლოგიური საწარმო ინდუსტრია“ს სპეციალისტთა ჯგუფის წინაშე გადასაწყვეტად დასმულია შემდეგი საკითხები:

1. დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლების საჯარო სკოლის მზიდი კონსტრუქციის შემადგენელი ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის ვიზუალური და დეტალურ-აპარატურული კვლევა;
2. ვიზუალური და აპარატურული კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლების საჯარო სკოლისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სქემის დადგენა;
3. ჩატარებული კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე შესაბამისი ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის მომზადება.

თავი I. გამოკვლევა

1.1. დამკვეთის მიერ შ.პ.ს „სამეცნიერო, საპროექტო-ტექნოლოგიური საწარმო ინდუსტრია“ს სპეციალისტთა ჯგუფის წინაშე წარმოდგენილი დოკუმენტაცია:

1.1.1. დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლების საჯარო სკოლისათვის მომზადებული პროექტის არქიტექტურული ნაწილი. შესრულებულია შპს „სამეცნიერო საპროექტო ტექნოლოგიური საწარმო ინდუსტია“ს სპეციალისტთა ჯგუფის მიერ. აღმასრულებელი დირექტორი მიხეილ ფაშიაშვილი. არქიტექტორ-შემსრულებელი თ. ჟღენტი. მომზადების თარიღი: 2019 წლის აგვისტო.

1.2. ობიექტის ადგილმდებარეობა და აღწერილობითი ნაწილი

დამკვეთის მიერ გამოსაკვლევად (ტექნიკური დავალების შესაბამისად) წარმოდგენილი ობიექტი მდებარეობს დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლებში.

სამშენებლო კლიმატოლოგიის (პნ.01.05-08)-ის მონაცემების მიხედვით სოფელი ბოსლები (დმანისი) მდებარეობს ზღვის დონიდან 1256 მ-ზე.

იანვრის საშუალო ტემპერატურა იცვლება -5^{0}C-დან -2^{0}C-მდე

ივლისის საშუალო ტემპერატურა იცვლება +21^{0}C-დან +25^{0}C-მდე

თოვლის საფარის წონა შეადგენს 0,50 კპა-ს.

სეისმური საშიშროება 9 ბალი.

დროის რესურსის თვალსაზრისით საკვლევი ობიექტი აშენებულია 1978 წელს. სკოლას პირველი რეაბილიტაცია ჩაუტარდა 2011 წელს და მოიცავდა სახურავისა და კარ-ფანჯრების გამოცვლას. სახურავი შეიცვალა მოთუთიებული თუნუქის ფურცლებით. არსებული ფანჯრები შეიცვალა მეტალოპლასტმასის ფანჯრებით, ხოლო კარებები რამოდენიმე ცალი და ისევ მეტალოპლასტმასის. ამავე წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდა და გაკეთდა გარე საფირფარეშო, ასევე

გაკეთდა წყალშემკრები ზაბრები და მილები, ასევე ბეტონის წყალსანირი. რეაბილიტაცია მოიცავდა მხოლოდ სკოლის შენობის პირველსა და მეორე სართულს. მესამე სართული ავარიულ მდგომარეობაშია. ძირითადი შენობა თავდაპირველი პროექტითაც გათვლილი იყო სკოლისათვის. შენობას გეგმაში აქვს მრავალწახნაგა ფორმა, იგი შედგება სამი ფლიგელისაგან,რომლებიც ერთ წელსაა აშენებული.

სკოლის შენობა-ნაგებობა შედგება შემდეგი მომიჯნავე ნაწილისაგან:

1. ნაწილი. „ა-ი-4-6“ ღერძებში, ძირითადი სასწავლო კორპუსი (შედგება სამი სართულისაგან, ნახევარსარდაფით). (იხ. დანართი №1, სურათები: №1, №2).
2. ნაწილი. „ო-პ-2-3“ ღერძებში, სპორტულ დარბაზში გადასასვლელი ნაგებობა (შედგება ორი სართულისაგან, ნახევარსარდაფით). (იხ. დანართი №1, სურათები: №3, №4).
3. ნაწილი. „მ-ნ-1-2“ ღერძებში, სპორტული დარბაზი (შედგება ერთი სართულისაგან). (იხ. დანართი №1, სურათები: №4, №5).

   ტერიტორიაზე განთავსებულია საქვაბე, ძველი საქვაბე, ძველი ტუალეტისათვის განკუთვნილი ნაგებობა, წყლის ავზი, მოედანი და აუზი. (იხ. დანართი №1, სურათები: №14, №16).

ძირითადი სასწავლო კორპუსის გათბობა ხდება ცენტრალური სისტემით ბუნებრივ აირზე.

1.3. კონსტრუქციული სქემის დადგენა

1.3.1. ნაწილი 1. „ა-ი-4-6“ ღერძებში, ძირითადი სასწავლო კორპუსი

ნაწილი 2. „ო-პ-2-3“ ღერძებში, სპორტულ დარბაზში გადასასვლელი

ნაწილი 3. „მ-ნ-1-2“ ღერძებში,სპორტული დარბაზი

1.3.1.1. საძირკველი, ზეძირკველი და წყალარინებითი ბილიკი

საჯარო სკოლისათვის განკუთვნილ სასწავლო კორპუსს, გადასასვლელ ნაგებობას და სპორტულ დარბაზს მოწყობილი აქვს ლენტური ტიპის ბეტონის ფაქტურის საძირკველი, რაც დადგინდა „6“ ღერძზე, „ზ“ და „ო“ ღერძებს შორის, ნახევარსარდაფში (შიდა მხრიდან) გაშიშვლებული საძირკვლიდან. (იხ. დანართი №1, სურათი №19).

აღნიშნულ ნაგებობებს ზეძირკველი შესრულებულია ზეძირკვლის მსხვილბლოკური წყობით. (იხ. დანართი №1, სურათები: №1, №4, №5, №6, №7, №8, №9, №10, №12, №13, №17, №19).

შენობას პერიმეტრზე მოწყობილი აქვს წყალარინებითი ბილიკი. (იხ. დანართი №1, სურათები: №1, №4, №5, №6, №7, №8, №9, №10, №12, №13).

1.3.1.2. მზიდი კედლები და ანტისეისმური სარტყელი

ზემოთ აღნიშნულ ზეძირკვლებზე განთავსებულია სამშენებლო, სილიკატური აგურის წყობის მზიდი კედლები. შენობებს მოწყობილი აქვს ერთიანი ანტისეისმური რკინაბეტონის სარტყელი. (იხ. დანართი №1, სურათები: №1, №3, №4, №5, №6, №7, №8, №11, №12, №20, №21, №22 №23, №24 №27, №28, №29, №31, №32, №33, №35, №36, №37, №38, №39, №40).

1.3.1.3. სართულშუა გადახურვები

მთავარ სასწავლო კორპუსსა და გადასასვლელ ნაგებობას სართულშუა გადახურვის სახით მოწყობილი აქვს ანაკრები რკინაბეტონის ღრუტანიანი ფილები. სპორტული დარბაზის გადახურვა შესრულებულია რკინაბეტონის კოჭებზე განთავსებული ანაკრები რკინაბეტონის წიბოვანი (იხ. დანართი №1, სურათები: №17, №18, №19, №20, №21, №22, №23, №24, №27, №28, №30, №33, №35, №36, №37, №38, №40, №41).

1.3.1.4. სასხვენო გადახურვა და ბურული

სასწავლო კორპუსს და სპორტულ დარბაზს გადახურვის პერიმეტრზე მოწყობილი აქვს ანაკრები რკინაბეტონის ლავგარდანის ფილები. ძირითადად სასწავლო კორპუსის და გადასასვლელი ნაგებობის სასხვენო გადახურვის მზიდი კონსტრუქცია შესრულებულია ხის ელემენტებით შეფიცვრაზე. ბურულის სახით წარმოდგენილი აქვს ჰიდროსაიოზალაციო მასალა მოთუთიებული თუნუქის ფურცლები. ძირითადი სასწავლო კორპუსის სასხვენო გადახურვის იატაკზე განთავსებულია შლაკის ფენა. (იხ. დანართი №1, სურათები: №11, №15).

1.4. კონსტრუქციული სქემების შესაბამისობა საქართველოში მოქმედ ნორმატიულ დოკუმენტებთან

აღნიშნული ნაგებობების კონსტუქციული სქემა შეესაბამება სამშენებლო ნორმები და წესების-"სეისმომედეგი მშენებლობა" (პნ 01.01-09)-ის, თავი III-ის, მე-6 მუხლის, მე-8 ცხრილის მე-9 პუნქტის მონაცემებს და განიხილება, როგორც კედლები აგურის ან მცირე ზომის ბლოკების წყობით გაძლიერების გარეშე, სადაც მოედნის სეისმურობის 9 ბალის შემთხვევისათვის დასაშვებია 3 სართული. რეალურად კი წარმოდგენილია 3 სართული, ნახევარსარდაფით.

1.5. ვიზუალური კვლევის შედეგები

დამკვეთის მიერ საკვლევად წარმოდგენილ ობიექტს საპროექტო დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ ჩაუტარდა ვიზუალური კვლევა, რომლის შედეგების ანალიზის საფუძველზე დადგინდა შემდეგი:

1.5.1. ნაწილი 1. „ა-ი-4-6" ღერძებში, ძირითადი სასწავლო კორპუსი
ნაწილი 2. „ო-პ-2-3" ღერძებში, სპორტულ დარბაზში გადასასვლელი
ნაწილი 3. „მ-ნ-1-2" ღერძებში,სპორტული დარბაზი

1.5.1.1. საძირკველი, ზეძირკველი და წყალარინებითი ბილიკი

საჯარო სკოლისათვის განკუთვნილ სასწავლო კორპუსს, გადასასვლელ ნაგებობას და სპორტულ დარბაზს მოწყობილი აქვს ლენტური ტიპის ბეტონის ფაქტურის საძირკველი, რაც დადგინდა „6" ღერძზე, „ზ" და „ო" ღერძებს შორის, ნახევარსარდაფში (შიდა მხრიდან) გაშიშვლებული საძირკვლიდან. მათზე არ აღინიშნება ჯდომისათვის დამახასიათებელი დეფორმაციები. (იხ. დანართი №1, სურათი №19).

აღნიშნულ ნაგებობებს ზეძირკველი შესრულებულია ზეძირკვლის მსხვილბლოკური წყობით. მათ გარე ზედაპირებზე აღინიშნება მრავლობითი ბათქაშჩამოშლილი უბნები. (იხ. დანართი №1, სურათები: №1, №4, №5, №6, №7, №8, №9, №10, №12, №13, №17, №19).

შენობას პერიმეტრზე მოწყობილი აქვს წყალარინებითი ბილიკი. ის ხასიათდება სხვადასხვა დაზიანებებით. ამოსულია ბალახის საფარი. (იხ. დანართი №1, სურათები: №1, №4, №5, №6, №7, №8, №9, №10, №12, №13).

1.5.1.2. მზიდი კედლები და ანტისეისმური სარტყელი

ზემოთ აღნიშნულ ზეძირკვლებზე განთავსებულია სამშენებლო, სილიკატური აგურის წყობის მზიდი კედლები. შენობებს მოწყობილი აქვს ერთიანი ანტისეისმური რკინაბეტონის სარტყელი. სასწავლო კორპუსის პირველი ორი სართული ექსტერიერის და ინტერიერის მხრიდან მოპირკეთებული და შეღებილია. თუმცა აღინიშნება ლოკალური სახის ბათქაშჩამოშლილი უბნები. მე-3 სართულის კედლები ხასიათდება სახურავის შეკეთებამდე ინტერიერში ჩამოსული წყლის მნიშვნელოვანი ასახვით. ასევე აღნიშნული კედლები ხასიათდება მრავლობითი ბათქაშჩამოშლილი უბნებით. სპორტული დარბაზის კედლები, განსაკუთრებით ინტერიერის მხრიდან ხასიათდება ლოკალური სახის ბათქაშჩამოშლილი უბნებით. (იხ. დანართი №1, სურათები: №1, №3, №4, №5, №6, №7, №8, №11, №12, №20, №21, №22 №23, №24 №27, №28, №29, №31, №32, №33, №35, №36, №37, №38, №39, №40).

1.5.1.3. სართულშუა გადახურვები

მთავარ სასწავლო კორპუსსა და გადასასვლელ ნაგებობას სართულშუა გადახურვის სახით მოწყობილი აქვს ანაკრები რკინაბეტონის ღრუტანიანი ფილები. ძირითადი სასწავლო კორპუსის მე-3 სართულის სართულშუა გადახურვის ფილების ქვედა ზედაპირები ხასიათდება მრავლობითი ბათქაშჩამოშლილი უბნებით და ობირებული ზონებით. სპორტული დარბაზის გადახურვა შესრულებულია რკინაბეტონის კოჭებზე განთავსებული ანაკრები რკინაბეტონის წიბოვანი ფილებით. სპორტული დარბაზის გადახურვის მზიდი კონსტრუქციის შემადგენელი ელემენტები ხასიათდება ბეტონის განშრევებული და ბათქაშჩამოშლილი უბნებით, ასევე არმატურის გაშიშვლებული ზონებით. (იხ. დანართი №1, სურათები: №17, №18, №19, №20, №21, №22, №23, №24, №27, №28, №30, №33, №35, №36, №37, №38, №40, №41).

1.5.1.4. სასხვენო გადახურვა და ბურული

სასწავლო კორპუსს და სპორტულ დარბაზს გადახურვის პერიმეტრზე მოწყობილი აქვს ანაკრები რკინაბეტონის ლავგარდანის ფილები. ძირითადად სასწავლო კორპუსის და გადასასვლელი ნაგებობის სასხვენო გადახურვის

მზიდი კონსტრუქცია შესრულებულია ხის ელემენტებით შეფიცვრაზე. შენიშვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სასხვენო გადახურვის იატაკზე განთავსებულია ორი ცალი ტონანახევრიანი ავზი, რომლებიც დაზიანებულია. ბურულის სახით წარმოდგენილი აქვს ჰიდროსაიოზალაციო მასალა მოთუთიებული თუნუქის ფურცლები. ბურულის და წყალარინებითი სისტემის ელემენტები ხასიათდება ლოკალური სახის დაზიანებებით. ძირითადი სასწავლო კორპუსის სასხვენო გადახურვის იატაკზე განთავსებულია შლაკის ფენა. აღნიშნული შლაკის ფენა დანაგვიანებულია. (იხ. დანართი №1, სურათები: №11, №15).

1.6. დეტალურ-აპარატურული კვლევის შედეგები

დამკვეთის მიერ- საკვლევად წარმოდგენილ ობიექტზე საპროექტო დოკუმენტაციის გაცნობის, განხორციელებული ვიზუალური კვლევის შემდეგ, ჩატარდა დეტალურ-აპარატურული კვლევა, რომლის შედეგების ანალიზის საფუძველზე დადგინდა შემდეგი:

საკვლევად წარმოდგენილი იყო დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლების საჯარო სკოლის შენობა-ნაგებობა.

1.6.1. საძირკვლები

ძირითად სასწავლო შენობა-ნაგებობების ფუნდამენტს წარმოადგენს ბეტონის ფაქტურის ლენტური ტიპის საძირკველი. საძირკვლის შემადგენელი ბეტონის სიმტკიცის პარამეტრების განსაზღვრისათვის კვლევა ჩატარდა არამრღვევი კონტროლის მეთოდის გამოყენებით. რეპერული წერტილებიდან მიღებული სიმტკიცის მნიშვნელობები შეტანილია ცხრილ №1-ში.

ცხრილი №1.

№	ადგილმდებარეობა	კონსტრუქციის დასახელება: ადგილმდებარეობა ღერძებთან მიმართებაში	ჩაქუჩზე აღებული ანათვალი	ანათვლის შესაბამისი სიმტკიცე მპა	სიმტ. კგძ/სმ²	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7

	სასწავლო კორპუსი ნახევარსარდაფის სართული შიდა მხრიდან შურფი	საძირკველი				
1.	შურფი	„6“ ღერძზე, „ზ“ და „ო“ ღერძებს შორის,	24	21	214	
2.	„----------“	„6“ ღერძზე, „ზ“ და „ო“ ღერძებს შორის,	25	22	224	

1.6.2. ძირითადი სასწავლო კორპუსის ზეძირკველი

ასევე არამრღვევი კონტროლის მეთოდით განისაზღვრა სასწავლო კორპუსის სექციების ზეძირკვლის შემადგენელი ბეტონის სიმტკიცის მნიშვნელობები. ზეძირკვლის ზედაპირის რეპერული წერტილებიდან მიღებული მნიშვნელობები შეტანილია ცხრილ №2-ში. ცხრილი №2

№	ადგილმდებარეობა	კონსტრუქციის დასახელება: ადგილმდებარეობა ღერძებთან მიმართებაში	ჩაქუჩზე აღებული ანათვალი	ანათვლის შესაბამისი სიმტკიცე მპა	სიმტ. კგძ/სმ^2	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7
	ძირითადი კორპუსი გარე მხრიდან	ზეძირკველი				
1.	„----------„	„ა“ ღერძზე „4“ და „5“ ღერძებს შორის	25	21	214	
2.	„----------„	„1“ ღერძზე „მ“ და „ნ“ ღერძებს შორის	26	22	224	
3.	„----------„	„ ნ“ ღერძზე „1“ და „2“ ღერძებს შორის	25	21	214	

4.	„----------„	„4“ ღერძზე „ა“ და „ბ“ ღერძებს შორის	26	22	224	
5	„----------„	„4“ ღერძზე „ბ“ და „გ“ ღერძებს შორის	25	22	224	
6.	„----------„	„4“ ღერძზე „გ“ და „დ“ ღერძებს შორის	23	21	204	
7.	„----------„	„4“ ღერძზე „დ“ და „ე“ ღერძებს შორის	27	23	235	
8.	„----------„	„4“ ღერძზე „ე“ და „ვ“ ღერძებს შორის	25	22	224	
9.	„----------„	„4“ ღერძზე „ვ“ და „ზ“ ღერძებს შორის	22	19	194	

1.6.3. სპორტული დარბაზის გადახურვის მზიდი ელემენტები

წინამდებარე დასკვნის 1.3. პუნქტში აღინიშნა რომ სპორტულ დარბაზს მოწყობილი აქვს ანაკრებ რკინაბეტონის კოჭებზე განთავსებული ანაკრები რკინაბეტონის წიბოვანი ფილები, რომელთა შემადგენელი ბეტონის სიმტკიცის მნიშვნელობათა დიაპაზონი იცვლება 210კგძ/სმ^2 დან 290კგძ/სმ^2 მდე. აღნიშნული სიმტკიცის დიაპაზონი ხასიათდება მონაცემთა მნიშვნელოვანი გაბნევით, რაც მიუთითებს აღნიშნული ელემენტების შემადგენელი ბეტონის ფაქტურის არაერთგვაროვნებაზე.

1.7 დეტალურ –აპარატურულ კვლევაში გამოყენებული აპარატურის მუშაობის პირობები

დეტალურ-აპარატურული მონიტორინგის განხორციელებისათვის გამოყენებულია არამრღვევი კონტროლის მეთოდი და შესაბამისი აპარატურა. დეტალურ აპარატურული კვლევა განხორციელდა ხელსაწყოებისათვის დასაშვებ +25^{0}C ტემპერატურაზე.

1.8. გამოყენებული აპარატურა

1.8.1. ლაზერული მანძილმზომი 300 მ-იანი დიაპაზონით;

1.8.2. ულტრასონოგრაფი „ ელკომეტერ 331 მოდელ-BH “ 20 სანტიმეტრიანი შეღწევადობის მაქსიმალური დიაპაზონით. არმირების განლაგებისა და ბეტონის დამცავი ფენის დადგენისათვის;

1.8.3. დრეკადი ასხლეტის პრინციპზე მომუშავე, „შმიდტის“ ტიპის ჩაქუჩი, „ელკომეტერ-181, კონკრეტე თესტ ჰამმერ;“

1.8.4. ციფრული ფოტოაპარატი – ნიკონ-310

1.9. გამოყენებული ლიტერატურა

1.9.1. სამშენებლო ნორმები და წესები -„სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01.01.-09)

1.9.2. სამშენებლო ნორმები და წესები -„სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01.01.-09)-ის თავი III-ის, მუხლი მე-6-ის, ცხრილი №8-ის თანდართული შენიშვნები.

1.9.3.საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული სახცოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით, მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქცია (თბილისი 1992 წ).

თავი II. ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა

დამკვეთის –მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ შპს „სამეცნიერო საპროექტო ტექნოლოგიური საწარმო ინდუსტრია“ს სპეციალისტთა ჯგუფის წინაშე საკვლევად (ტექნიკური დავალების შესაბამისად) წარმოდგენილ ობიექტზე საპროექტო დოკუმენტაციის გაცნობის, ჩატარებული ვიზუალური და აპარატურული კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე, დადგინდა შემდეგი:

საკვლევად წარმოდგენილი დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლების საჯარო სკოლის შენობა-ნაგებობა.

ქვემოთ მოყვანილი ფაქტორებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, სპეციალისტთა ჯგუფის მიერ გამოკვლეული სკოლის ნაგებობის შემადგენელი ელემენტები საჭიროებს ქვემოთ რეკომენდირებულ სამშენებლო სამუშაოებს და პრევენციული ღონისძიებების ჩატარებას.

2.1. ნაწილი 1. „ა-ი-4-6“ ღერძებში, ძირითადი სასწავლო კორპუსი

ნაწილი 2. „ო-პ-2-3“ ღერძებში, სპორტულ დარბაზში გადასასვლელი

ნაწილი 3. „მ-ნ-1-2“ ღერძებში,სპორტული დარბაზი

2.1.1. ზეძირკველი და წყალარინებითი ბილიკი

აღნიშნულ ნაგებობებს ზეძირკველი შესრულებულია ზეძირკვლის მსხვილბლოკური წყობით. მათ გარე ზედაპირებზე აღინიშნება მრავლობითი ბათქაშჩამოშლილი უბნები. **საჭიროა შენობების მთელ პერიმეტრზე ზეძირკვლის გარე ზედაპირების გასუფთავება ძველი ნალესისაგან, ნარჩენების ნაგვის სახით გატანა, შეჯავშვნა გარედან ლითონის ელემენტებით კონსტრუქციული გადაწყვეტის საფუძველზე, შელესვა მაღალი სიმტკიცის ქვიშა-ცემენტის ხსნარით, მოპირკეტება და შეღებვა არქიტექტურული გადაწყვეტის საფუძველზე პრევენციული ღონისძიების გატარებით.**

შენობას პერიმეტრზე მოწყობილი აქვს წყალარინებითი ბილიკი. ის ხასიათდება სხვადასხვა დაზიანებებით. ამოსულია ბალახის საფარი. **საჭიროა არსებული წყალარინებითი ზონიდან (შენობის მთელ პერიმეტრზე) ძველი წყალარინებითი ბილიკის მოხსნა, ნაგვის სახით გატანა, მის ადგილზე ხრეშის ბალიშის მოწყობა დატკეპვნით, ხრეშის ბალიშზე ბეტონის ფაქტურის წყალარინებითი ბილიკის მოწყობა წყალუჭონადობის დაცვის პირობით, პრევენციული ღონისძიებების გატარებით.**

2.1.2. მზიდი კედლები და ანტისეისმური სარტყელი

ზემოთ აღნიშნულ ზეძირკვლებზე განთავსებულია სამშენებლო, სილიკატური აგურის წყობის მზიდი კედლები. შენობებს მოწყობილი აქვს ერთიანი ანტისეისმური რკინაბეტონის სარტყელი. სასწავლო კორპუსის პირველი ორი სართული ექსტერიერის და ინტერიერის მხრიდან მოპირკეთებული და შეღებილია. თუმცა აღინიშნება ლოკალური სახის ბათქაშჩამოშლილი უბნები. **საჭიროა აღნიშნული**

უბნების მოპირკეთება და შეღებვა. მე-3 სართულის კედლები ხასიათდება სახურავის შეკეთებამდე ინტერიერში ჩამოსული წყლის მნიშვნელოვანი ასახვით. ასევე აღნიშნული კედლები ხასიათდება მრავლობითი ბათქაშჩამოშლილი უბნებით. **საჭიროა მე-3 სართულის კედლების გასუფთავება, (ორმხრივად) ძველი ნალესისაგან, ნარჩენების ნაგვის სახით გატანა, კედლების ორმხრივი შეჯავშვნა ლითონის ელემენტებით, კონსტრუქციული გადაწყვეტის საფუძველზე, ღიობების ზღუდარების შეჯავშვნა ლითონის ელემენტებით, კონსტრუქციული გადაწყვეტის საფუძველზე, სარტყელების ზონების შეჯავშვნა ლითონის ელემენტებით, კონსტრუქციული გადაწყვეტის საფუძველზე. კედლების ორმხრივი შელესვა მაღალი სიმტკიცის ქვიშა-ცემენტის ხსნარით, მოპირკეთება და შეღებვა არქიტექტურული გადაწყვეტის საფუძველზე.**

სპორტული დარბაზის კედლები, განსაკუთრებით ინტერიერის მხრიდან ხასიათდება ლოკალური სახის ბათქაშჩამოშლილი უბნებით. **საჭიროა ლოკალური უბნების შელესვა ქვიშა-ცემენტის ხსნარით, მოპირკეთება და შეღებვასაჭიროა ორივე სართულზე კედლების გასუფთავება, (ორმხრივად) ძველი ნალესისაგან, ნარჩენების ნაგვის სახით გატანა, კედლების ორმხრივი შეჯავშვნა ლითონის ელემენტებით, კონსტრუქციული გადაწყვეტის საფუძველზე, ღიობების ზღუდარების შეჯავშვნა ლითონის ელემენტებით, კონსტრუქციული გადაწყვეტის საფუძველზე, სასარტყელე ზონების შეჯავშვნა ლითონის ელემენტებით, კონსტრუქციული გადაწყვეტის საფუძველზე. კედლების ორმხრივი შელესვა მაღალი სიმტკიცის ქვიშა-ცემენტის ხსნარით, მოპირკეთება და შეღებვა არქიტექტურული გადაწყვეტის საფუძველზე პრევენციული ღონისძიებების გატარებით.**

2.1.3. სართულშუა გადახურვები

მთავარ სასწავლო კორპუსსა და გადასასვლელ ნაგებობას სართულშუა გადახურვის სახით მოწყობილი აქვს ანაკრები რკინაბეტონის ღრუტანიანი ფილები. ძირითადი სასწავლო კორპუსის მე-3 სართულის სართულშუა გადახურვის ფილების ქვედა ზედაპირები ხასიათდება მრავლობითი ბათქაშჩამოშლილი უბნებით და ობირებული ზონებით. **საჭიროა გადახურვის ფილების ქვედა ზედაპირების გასუფთავება ძველი ნალესისაგან, ნარჩენების ნაგვის სახით გატანა, მოპირკეთება და**

შეღებვა არქიტექტურული გადაწყვეტის საფუძველზე, პრევენციული ღონისძიებების გატარებით.

სპორტული დარბაზის გადახურვა შესრულებულია რკინაბეტონის კოჭებზე განთავსებული ანაკრები რკინაბეტონის წიბოვანი ფილებით. სპორტული დარბაზის გადახურვის მზიდი კონსტრუქციის შემადგენელი ელემენტები ხასიათდება ბეტონის განშრევებული და ბათქაშჩამოშლილი უბნებით, ასევე არმატურის გაშიშვლებული ზონებით. **საჭიროა აღნიშნული მზიდი ელემენტების გასუფთავება ძველი ნალესისაგან, ნარჩენების ნაგვის სახით გატანა, გასუფთავებული კოჭების და ფილების შეჯავშვნა-გაძლიერება კონსტრუქციული გადაწყვეტის საფუძველზე, მთლიანი შელესვა მაღალი სიმტკიცის ქვიშა-ცემენტის ხსნარით, მოპირკეთრება და შეღებვა არქიტექტურული გადაწყვეტის საფუძველზე, პრევენციული ღონისძიებების გატარებით.**

2.1.4. სასხვენო გადახურვა და ბურული

სასწავლო კორპუსს და სპორტულ დარბაზს გადახურვის პერიმეტრზე მოწყობილი აქვს ანაკრები რკინაბეტონის ლავგარდანის ფილები. ძირითადად სასწავლო კორპუსის და გადასასვლელი ნაგებობის სასხვენო გადახურვის მზიდი კონსტრუქცია შესრულებულია ხის ელემენტებით შეფიცვრაზე. შენიშვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სასხვენო გადახურვის იატაკზე განთავსებულია ორი ცალი ტონანახევრიანი ავზი, რომლებიც დაზიანებულია. **საჭიროა მათი გამოცვლა.** ბურულის სახით წარმოდგენილი აქვს ჰიდროსაიოზალაციო მასალა მოთუთიებული თუნუქის ფურცლები. ბურულის და წყალარინებითი სისტემის ელემენტები ხასიათდება ლოკალური სახის დაზიანებებით. **საჭიროა ბურულისა და წყალარინებითი სისტემის შეკეთება.**

ძირითადი სასწავლო კორპუსის სასხვენო გადახურვის იატაკზე განთავსებულია შლაკის ფენა. აღნიშნული შლაკის ფენა დანაგვიანებულია. **საჭიროა სასხვენო გადახურვის იატაკზე განთავსებული შლაკის ფენის ნაგვის სახით გატანა და ახლის მოწყობა.**

დასკვნა თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, მოამზადეს ექსპერტად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილების მქონე სპეციალისტებმა:

კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელი:

ტ.მ.დ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის
„სტრუქტურული მთლიანობის მონიტორინგისა და ექსპერტიზის“
განყოფილების წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების სამინისტროს ექსპერტი, საგანგებო სიტუაციების
ინჟინერ-კონსტრუქტორი საექსპერტო საქმიანობაში მონაწილეობის
19 წლის სტაჟით , სპეციალისტი: / ბ. ჭურჭელაური /

დამხმარე

სპეციალისტი , ს.ტ.უ-ს მაგისტრი / რ. ზამბახიძე /

დამხმარე

სპეციალისტი , ს.ტ.უ-ს დოქტორანტი / ვ. ტყეშელაშვილი /

პროგრამული უზრუნველყოფის

სპეციალისტი / დ. ზაკალაშვილი /

KA020143688946019

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების მინისტრი

MINISTER OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

0114 თბილისი, სანაპიროს 2
2, Sanapiro str., 0114 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 2 99 11 05
Tel.: (+995 32) 2 99 11 11

№ 11/5592

22 / ივლისი / 2019 წ.

მოქალაქე ქ-ნ ანა კიბაბიძეს (პნ 35001108339),
მცხოვრები: თბილისი, ალ. ყაზბეგის 24გ, I
სადარბაზო, მე-2 სართული, ბინა 2.

ქალბატონო ანა,

თქვენს 2019 წლის 16 ივლისის განცხადებაზე პასუხად გაცნობებთ, რომ ბ-ნი ბადრი ჭურჭელაური (პ/ნ 01006008648) სამინისტროს მიერ შეთანხმებულია კონკრეტული განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის, ობიექტის არსებული ნაწილის და ობიექტის მშენებლობის წარმოების ეტაპების საექსპერტო შეფასების განსახორციელებლად.

ამასთან ერთად, გაცნობებთ, რომ სამინისტრო ექსპერტთა კანდიდატურებს ითანხმებს ყოველი კონკრეტული განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტისთვის კონკრეტული საექსპერტო სამუშაოს განსახორციელებლად და არა ზოგადად განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების ექსპერტებად.

პატივისცემით,

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნათელა თურნავა

დიპლომი

წარჩინებით

НВ № 068322

ეს დიპლომი მიეცა ბადრი

გენადის ძე ჭურჭელაურს

მასზე, რომ იგი 1982 წელს შევიდა

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის

პოლიტექნიკურ ინსტიტუტში

და 1989 წელს დაამთავრა

ალნიშნული

ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით სამრეწველო

და სამოქალაქო მშენებლობა

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1989 წ.

„ 23 “ 06 გადაწყვეტილებით

ბ. გ. ჭურჭელაურს მიენიჭა ინჟინერ-

მშენებლის

კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო
კომისიის თავმჯდომარე

